## ა) ანდერძი დავით აღმაშენებელისა. (*)

ანდერძი დიდისა მეფისა საქრისტიანოისა და აფხაზეთისა, დავით აღმაშენებელის პანკრატოანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღუარსა თჳსსა არსენის, ჟამსა შიცუალებისა თჳსისა, თქმად ყოველთა და განცხადებად სახლეულთა და დიდებულთა თჳსთა.

გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთა მეფე დავითი დღეთა შინა სიკუდილისა, და სოფლით განსლვისა

---

(*) ეს ნაწილი არის ჩართული საეკკლესიო წიგნში, რომელიც იპოვება ნესტორ წერეთლის სახლში, და რომელსაც აქუს ეს შენიშვნა: ესენი გარდმოვსწერე მე პროთოიერმანოსე ზაქარია მოძღურის ძმან, მაისის კ. ჩუკბ. ესე ეთარგმნა რუსულით ქართულსა ენასაზედა სიბრძნის მოყუარეს ქართველსა იოანეს ვისმე ბაზაღაძეს, პერეჩიკსა, გარნა უჩუეულებისათჳს ჩუენ განვმართეთ ჩუენისამებრ ენისა ქართველთა მე მდაბალმან არხიმანდრიტმან გაენა-

მისისათა, ჩემ მიერ უნდოჲსა, და უღირსისა მღოცველისა მათისა პირითა.

თქუენ ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოჲსა მისისათა: კათოლიკოსთა, ეპისკოპოზთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა.

უკუდავი და დიდებისა მოყუარე, და მეფობისა ტროფიალი მედგა ბუნებაჲ. და არა მიოდეს მოვიხსენებდი დღესა ამას სამარადისად; სათვლავად მისვლად ჩემისასა, და ვჰრქუე დატევებად საწყროჲსა, ვიდრე არა დამიტევა მე, საწუთრომან, და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა მწუხარედ გასმიყვანა წინაშე მსაჯულისა, რამეთუ მრავალნი წყალობანი ჰყუნა ჩემზედა სოფლისა ამას შინა, რამეთუ მოცმა პირველად მჴილი ესე დიმიტრი სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა, და სიმხნითა უმჯობესი ჩუენსა — და ნამდვილი ესე ვითარი ჯერიყოს მეფე მოცემული ღმრთისა მიერ, მკვიდრთათჳს სოფლისათა, მართალ მორწმუნეჲ. მე წარვედი წინაშე მსაჯულისა. მისისამებრ გასმგებელი

---

თისამან ზაქარიამ, რათა უცხადეს იყოს ცნობად ყოველთა მიერ წამკითხველთა და სწავლის მოყუარეთაგან. წელსა ჩყკბ, თთუესა ნოემბერსა ა-სა ხოლო მე პროთოიერმან ოსე ზაქარია მოძღუარის ძემან გაბაონმან გადმოვსწერე, ვედრებით მთხოველმან აღმომკითხველთა შენდობის მიერ, წელსა ჩყკგ, თთუესა მარტსა ით, ქსორიობასა შინა მყოფმან ქალაქსა ბელელოროდისასა, მონასტერსა შინა წმინდისა და საკჳრველთ მოქმედისა ნიკოლაოსისა. ბაქრაძე.

მეფობისა. რამეთუ მხიარული—ჰყოფდის ყრმაჲ ესე ყოვლად დაფარულთა გულისა ჩემისათა; და მენებაცა მოცლა საწუთროსაგან, მეფეთ ყოფითა მაგისითა, რომელი ესე ღმერთმან და მეფე და ორის წლითგან მოძღუარმან ჩემმან უწყით: გარნა მძლო საწუთრომან და წაღმართ ქადებულნი ჟამნი მიმტყუნაკე, და მომაგო ჩემნი, და მამისა ჩემისა ჭირნი, რომელთა მიმიქცევიან ამისგან პირნი, და თვალნიცა: გარნა განაბჭო მართლად მსაჯულობამან ღჳთისამან, და ესერა მიწოდამე და უწოდა მაგას მეფობაჲ, მამული და ახლად მოგებულ ღვაწლითა ჩემითა, და თქჳნითა, ნიკოფსიდგან დარუბანდისა ზღვადმდე; და ოვსეთიდგან სოერად და არეგუაწადმდე: და მოვანდევე შჳლნი, და დედოფალნიცა შემდგომელობითა ღჳთისათა, რათა ძმაჲ მისი გაზარდოს, და თუ ინებოს ღმერთმან, და კარგ იყოს, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივ ჰსცეს, ვითარ შჳლთა ჩემთა საყუარელთა.

ამას ყოვლითურთ წარუძღუანე წმინდა გული ცხოვრებისა და მივეც დროშა ჩემი, აბჯარნი ჩემნი, სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი, ზემონი და ქჳმონი.

ხოლო დრაჭკანნი კონსტანტი, ცჳარტა და ჩემთა ალალი და თჳალ-მარგალიტნი ხახულისა ღჳთის მშობლისად შემიწირავს. ხოლო დუკიტი და პოტასნატი ატენიისა საჭურჭლისა, იგიცა სისხლითა ჩემითა მოგებული, თუ ელეოდეს ვითა მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა, თუ არა ნაზუკრისათჳს წინაშე ღჳთისა. ვესაჯები, რათა რომელნი მონასტერნი მამუ-

ლისა ჩემისანი განმიმწარებიან, მოძღუარმან ჩემმან უგუნ ცემითა მათთაცა ალოცნეს ჩემთჳს.—

ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი, და საძჳალე შჳლთა ჩემთა უსრულად, და წარმუჳა მისთჳსცა ტკივი-ლი სამარადისო.—აწ შჳლმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოვლითურთ, საუკუნოდ საცოდავად ჩემთჳს, და მისთჳს და მომავალთა ჩემთათჳს.—რომელნი მიმი-ცემიან,მისგანსა ნურას მოაკლებს, და ადგილნი, რომე-ლნი მიშოებიან, უმკჳდროანი და უმამულონი, მათგანნი-ცა ვითარცა ბერმან არსენი, და კათოლიკოსმან გამოარ-ჩიონ, მეფემან დიმიტრი. მიცემითა წერათა და სიგელთა, განასრულონ ყოვლითურთ უნაკლულოდ.—

ბ) ესე წერილ-არს ხატსა ზედა ხახულისა ღუთისმშო-ბლისა, მონასტერსა დიდებულისა გეანათისასა.

ჲანბიკოდ თქმული რუსთჳელისამიერ.

ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან სძალო—
თბედ საიდუმლოდ, ზენაჲსა განგებისად,
ძისა ღუთისა ძედ მეშუ იქმენ არსთა მცხოვნად,
მე თამარ მჩენი, ტომთაგან დავითებრთაჲთ,
მამკევ, შემამკევ, მადიდე, აღმამაღლე,
აწ მეცა კელ ვჰყოფ, შემკობად ხატსა თქუენსა—
დედისა ძითურთ, და მეცა ძითურთ მფარველე.—

გ) საფლავსა ზედა თამარ მეფისასა ესრედ წერილ-არს.

როს ნაჴარმაჴევს მეფენი, შჳდნივე ჳურად დამესხნეს.

რუსნი, სპარსნი და არაბნი, სამზღვართა იქით გამესხნეს.
თევზნი ამერთა წყალთაგან, იმერთა მიგან ჩამესხნეს.
და აქ ამისა მომქმედსა, კელნი გულზედა დამესხნეს.

დ) კათოლიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს.

ესე ვიხილე ძველთა მოთხრობათა და ისტორიათა საქართველოჲსა მეფეთასა და გარდმოვსწერე ვითარცა წერილ იყო.

არის მისის უწმინდესობის კათალიკოსის სამწყსო ზემო ქართლს, რომელ არს სამცხე საათაბაგო თავადნი და სოფელნი.

კაკასის ძე მისის მამულითა, პარტალი მისითა შესავალითა და აზნაურ შვილებითა, საყმოთ სამწყსოთი.

სამძღვარი მისითა სასაფლაოთა მონასტრითა, და კარის ეკკლესიითა. გოგიბაშვილსა აქუს, ბუნზელის ძენი, მათითა სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

დასურის ძეთა აქუს, ხერხემელისძე, სასაფლაოთა მონასტრითა, და კარის ეკკლესიითა.

თაქთაირის ძეს აქუს, ჩარჩანელი, სასაფლაოთა მონასტრითა, და კარის ეკკლესიითა.

ერისთავთ ერისთვსა ხურსი ძეს აქუს, ღობიერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

დიასამიძეთა აქუს, აბუსერის ძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ბოცოს ძენი სასაფლაოთა, მონასტრითა, და კარის

ეკკლესიითა, ქოლადას შჳლთა აქუს, ოთარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

შალიკას შჳლთა აქუსთ, სერთავისანი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ქამქამის ძის სეულზედ არიან ლადარას შჳლნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

რჩეულიანთ და ფეროდიანთ აქუსთ, ასპინძის ძენი, სასაფლაოთა მონასტრითა, და კარის ეკკლესიითა.

სფირიდონს აქუს, კალმახელი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა,

უზანა ძეთა აქუს, დუკიის ძენი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ფანასკერტელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

სპასარალონი სამითა სასაფლაოთა მონასტრისა და კარის ეკკლესიითა.

ხაჩკოპას ძენი, სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.—ანძაველნი; სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.—კოპას ძენი; სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.— თუხარელნი სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.—მინხოშკი მისითა შესავალითა. დიდი პატიოსანი ვარძიისა მონასტერი, მისითა შესავალითა, და ეკკლესიის შჳლებითა.

---

სამცხე-საათაბაგოს მღუდელთ-მთავარნი და მწყემსნი ესენი არიან.

მაწყუერელი ბჳრგჳნი ბისონიანი არს, ამისი სამწყსო

ყვიბის კორტნეთისა შუა რომ წყარო სდის, ამას ზეით ხეობა და სადგური, სულ აწყვერია, დიასამიძისა სახლი ახალ ციხე, და ახალციხის წყალის გაღმართი ჭურის წორდგომამდისა.

გუმურდოელის სამწყსო, ხერთჳსს ზეით, სულ ჯავაზეთი ხვეთამდის.

იშხანელის სამწყსო, გურჩი ბოთას აქეთ, სულა თორთომი ტაოზ ქჳჱმოთი, არტანუჯს თავი საკრულავი ჭრქჳან, იმას აქეთი, გაღმით ორჯოხის მთას აქეთი, სულა საკავკასიძოა, ის პირ ტრაპიზონის მთას გარდმოღმა.

ანჩელის სამწყსო სამ წყალს აქეთი, ხანცხას და ოპიზას შუა, დახატულა, იმის ქჳჱმოთი ნიგლის ხევი, გაღმა და გამოღმართი, კონიის სამძღჳრამდის.

მტბევარის სამწყსო, დახატულას ზედათი, ანაკერის აქეთი სულა, შავშეთი, მიჯიხიასთ ბატონის კათოლიკოსის, იმ ქჳჱყნის ეპისკოპოსისაა, იასაულიც ის ყოფილა. აჭარა, დანდალოთ ზეითი, ამას ქონება, და დანდალოს ქჳჱმოთი აჭარა, ქუთათლის სამწყსო ყოფილა.

წურწყაბელის სამწყსო, ხურძის სახლი სულა. ბოცოთ ხევი ხერთჳს ქჳჱით მისია.

წყაროსთველის სამწყსო, ზევითი და იმას ზეით პადაკაციო, კოდის სამძღჳრამდის მტკჳარს აქეთი, აჭარტანი.

ერუშნელის სამწყსო, ტოლაშოს ზეითი სულა არტანა, კოდის საზღვრამდის.

ვალაშკერტელის სამწყსო, ყაზევან ზეითი, გაღშკეის

აქათ ხინუსი, და დეფაბონის აქეთი.

ანელის სამწყსო, სულა ზარიშტიანი, და შირვაანი, და მალას ბერეთი.

კარელის სამწყსო, სულა გორი, და გოლისა, და ოლოთისის სამძღჳრის გარდმოღმა გბჩევიანი და გადზევანი.

ბანელის სამწყსო, სულ ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, პარიზის ხეობა, სულა ოლითისი, ნამურავანი,

დაშნელის სამწყსო, სულა კოლა, და ხორტევანი ყარასალზედ მიდგმადი.

ამა ეპისკოპოსთა მაკურთხეველი და უფროსი საქართველოსა და აფხაზეთისა კათალიკოსია. ამის გელად არის ქსე ყოველი.